საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახალგაზრდობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა მ. გელოვანის სახელობისა, გაიხსნა 1968 თბილისში როგორც ახალგაზრდობის ცენტრ. საქალაქო ბ-კა (№ 3 საქალაქო მასობრივი ბ-კის ბაზაზე, რ-იც დაარსდა 1937).

1974 რეორგანიზებულია საქართვ. ახალგაზრდობის სახელმწ. რესპ. ბ-კად, 1975 მიენიჭა მირზა გელოვანის სახელი. ბ-კა ემსახურება 14 – 20 წლის ასაკის მკითხველებს. 1993-თვის ბ-კის ფონდში არის 240 ათ-მდე დაცვითი ერთეული. ბ-კა განლაგებულია 2 შენობაში.